



სამსხალი

ფასი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაურია. ღამით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გახუტეს ფასი შეუძლიათ ნაწილწლიურად გადახადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილწლიურად გადახადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტრიტ ღირს 15 კაპ., უკან: 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტრიტ ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 სათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 169 ყოველდღიური საკომლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 169

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლები სხვაზედა, ორიც ტკბილია ძმობილა, მირჩენის ორსვე თვალზედა, როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

კვირას, 6 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე გადახდილი იქნება წლის თავის წირვა და პანაშვილი საფიჩხიის სასაფლაოზე **ფადოსია პარაგან თავდგირიძის საულის** სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ნიკო თავდგირიძე და კიტა აბაშიძე.

გასწავლებელი ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის; ვოლნოპრედელიუმის 1 და 2 ხარისხისთვის; პრაპორჩიკების სკოლისთვის; მაწავლებლის ხარისხისთვის; სამიწათმშობელთა ტექნიკურის სასწავლებლისათვის, უმაღლეს პირველ დარჯიშებით სასწავლებლის მოწმობაზე; სპეციალურად შეტანილად **არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში.** ადრესი: აბრინის ქ. პალატის ქუჩიდან სახაზინო პალატის ახლოს, სახლი სამხარაძისა. ნახვ. დღეა 11 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე, 5—6 საათამდე. 12—1

ახლად დაარსებული საზოგადოების „**სინათლის**“ მიერ 9 სექტემბერს **გაიხსენება** ქალთა ქართული სასწავლებელი (ორი მოსამზადებელი და პირველი პროფიციენტული კლასი). მსურველთ პირობების გასაგებათ შეუძლიათ მიმართონ ჯერ-ჯერობით ქართული გიმნაზიის შენობაში ბ. ი. ოცხელს. იქვე მიიღება თხოვნებიც. 7—5

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი საფაქროს პირდაპირ გაიხსნა **დიდი იაფი ვაჭრობა** ფახსაქალებსა და საგადასაყრდენი საქონლისა. როგორც ფასები 50%-დან 75%-დამ დაკლებულია. პარტიციპაციით დ. მ. ბახტაძე.

დოქტორი მედიცინისა, პრაქტიკ-დოქტორი **ვარლამ გავლამაძე მოსაფიქრი** 8 მისილიდან მიიღებს ავთომედიცინის დილის 8 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე და ნაშუადღევს 5 საათიდან საღამოს 8 საათამდე. გომპიტის ქუჩა, მოსეშვიდის სახლი, საზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი ი. ჩარაძე ქალაქ. საავთომედიცინის ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავთომედიცინის მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ, საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევანოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი გოკიელის ელემენტარული და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავთომედიცინის მიღება დილის 9—12 საათ. საღამ. 6—8 საათ. აბუქსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სწავლებით ავთომედიცინის იღებს დღის 8—2 საათამდე და საღამოთა 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის უფროსი ქაჯაძის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

მასაჟითი სამკურნალო კაბინეტი მარ. ბალანჩივაძისა. ვკურნავ მასაჟით, საქიმი ვარჯიშებით, ვსპობ სახეზე: მუწულებს, ნაოჭებს, პორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავთომედიცინას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნაშვითი მარ-ჩან** თავზე კანის ქერკლს, ანუ ქეტერის ახალი გამოსული წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სიბრბილეს. ავთომედიცინის მიღება დილის 9—2-დგ და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი ხუთშაბათიდან, 3 ენკენისთვდან, მხოლოდ 2 დღით ახალი პროგრამა. **ვათე შურნალი.** № 231 თანამედროვე ცხოვრებიდან. სენსაციური პიესა **სვამდა ღვინოს და ხარხარებდა.** სეზონისა. თანამედროვე დრამა ოთხ ნაწილად. გამოჩენილ არტისტების ბ.ბ. ივანოვის, იანუშვილის, ბაკშვილისა და იზოლსკის მონაწილეობით.

ანონსი: ორშაბათიდან ნახევრები იქნება გაკვეთება მიღების გიმნაზიის ქვეშ მე-3-ე და მე-4-ე სერია. **ქ. კუთაიში.** **ექიმი ქალი** ვენერის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა **დ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა** დღებულობს შინაგან და ქალთა ავთომედიცინით სწავლებს დილის 9—12 საათ. ღ საღ. 5—6 ს. ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) აღინაიას სახლები. თვ. 975

დ. ყვირილაში სამოსწავლო მთავრობის ნებართვით, ყუბარაძის სახლში **გაიხსნა მოსამზადებელი სასწავლებელი,** სადაც მომზადდებიან ბავშვები ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლისათვის: გიმნაზიის, რეალურის, კომერციული-თვისა და სს. ფასი **ოცი მანეთიდან** წელიწადში. **სტუდენტი ვარლამ ფერაძე.** 14—10—963

თ. მთავრიშვილის და ახ. **წიგნისა და საკანცელარიო მალაზიას** ამა 1915/16 **სახაზლო** **წლ. დამზადებული აქვს პროფესორი** **ქართული და რუსული** სახელმძ-**წიგნები,** გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რეკულები, კალმები, კარანდაშები, კალმის მტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **სამზადებელი და სახალხო წიგნები, ყველა ახალი მართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები** და სხვ. თვ.

დასავლეთის ასპარაჟი. **პარაზი.** 2 ეკენისთვე. საღამოს ოფიც. ცნობა. არასის ჩრდილოეთითა და სამხრეთით და აგრეთვე ბიუას რაიონში ძლიერი საბრტალე-რიო ბრძოლა გრძელდებოდა. კენევიერის გორაკზე ბრძოლის დროს ვხმარობდით ხელით სასროლ ყუმბარებსა და გრანატებს. იმ არხზე რომელიც აერთებს ენსა და მარნას არტილერიის ცეცხლი მიმართული იყო ბერიობაჟისა და ლანგვილის ფრონტებისკენ, სადაც მტერი რამდენსამე დღის განმავლობაში ცდი-

ლობდა ჩვენს გაპორკვას. შამპანში საბრტალე ბრძოლა შესწყდა. საღამოთი ჩვენმა მხვერავებმა დაადასტურეს მტრის ბატარეის განადგურება. სენდიეს რაიონში აგრეთვე ნისა და ლეზგეთის ტყეებში აგრეთვე სწარმოდა. ბრძოლა, სადაც წარმატება ჩვენს მხარეს იყო.

გაგრი. 1 ეკენ. ბელგის ცნობით გერმანელების არტილერიის ცეცხლი მიმართული იყო დიკსმიუდესა და ნეკაპელოს წინააღმდეგ. ჩვენი ზარბაზნების ცეცხლი ნიუპორ-დიკსმიუდეს რკინის გზის რამდენსამე მუხტზე მიმართული იყო მტრის საზარებისა და ბატარეისაკენ, რამდენიმეჯერმე გავფანტეთ მოპირდაპირის მუხტები ლუიგემის სამხრეთით. ქვეითი ჯარი მონაწილეობას არ იღებდა ბრძოლაში.

ნაუიორკი. 2 ეკენ. გემ „ლაპლანდზე“, რომელიც უნდა წასულიყო ლივერპოლში, აღმოაჩინეს ორი ბოთლი, რომელში ძლიერი ასაფეთქებელი ნივთიერება იყო.

უგალუსი განიფასტი. წყალობითა ღვთისათა, ჩვენ, **ნიკოლოზ მე-2-ე,** თვითმპყრობელი ხელმწიფე სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლანდიისა და სხვათა და სხვათა ვუცხადებთ ჩვენს ერთგულ ქვეშევრდომთ: მტრულ მოსგვა ჩვენი სამშობლოს დაზღვრებში მოიახრავს ჩვენი ბრწყინვალე ჯარის ხელახალ ძალებით გაძლიერებას, რომელიც მეორე წელიწადი ეწევა ომის სამსახურს. ამიტომ, თანახმად სახელმწიფო სათათბიროს და სახელმწიფო საბჭოს დადგენილებისა, რომელიც ამა აგვისტოს 22-ს კანონად იქნა ჩვენ მიერ დამტკიცებული, ეხლა ჩვენ აუცილებელად სპირობად ვსცანით შეგუდგეთ მეორე ხარისხის სახელმწიფო მოლაშქრეთა მოწვევას მოლაშქრეთა ხნოვანება, რომელიც სხვა და სხვა დროს იქმნება გაწვეული და აგრეთვე ადგილი, საიდანაც მათ გაიწვევენ გამოცხადებულ იქნება ჩვენი უქაზით უმართებელს სენატისადმი. გამოცხადებულია ბანაკში, აგვისტოს 31-ს, ზაფხულში, ქრისტეს დაბადებიდან ოთხ ცხრაას თხუთმეტს, ჩვენი მეფობიდან ოცდაერთს“. ნამდვილზე მისი იმპერატორობით უმაღლესობის საკოთარის ხელით აწერია: **ნიკოლოზი.**

არხანგელსკი. 2 სექტემბერი. ხელ ელიან კაპიტან ვალკინსკის ეკსპედიციის ჩამოსვლას.

1 ენკენისთვის საღამოს მან გაი- არა კანონის კონცხთან, ქალაქი შესახვედრათ ემზადება.

ოდესა. ორ ზეკტემბერს დოვ- ნოვსკის მახლობლათ აღესიდან ათ მილზე ინგლისელი საპარკო გემი „პატარონია“ ნიკოლაევში მიმავალი დაზიანდა. ფიქრობენ, დაზიანე- ბა მოხდა გერმანიის წყალქვეშა ნა- ვის გამო, რადგან წის წინ მიმავალი გემი „მარია“ წყალქვეშა ნავის საშიშროებას გადაარჩა, რომელმაც მანვე იერაში მიიტანა.

ათანა. სომეხთი მცხოვრებნი არ- გონის მიდამოებში ამოსწყვატეს, გარდა ბავშვებისა.

ომი და ზავი.

— ბუქარესტიდან დეპეშით აუწყე- ბენ გაზეთებს, რომ რუმინის საზ- ლგრებზე ერთ ალაგას რუმინეთის ჯარს ავსტრიის დარაჯებთან შეტა- კება მოუხდა.

კიევის შიშიანობა ცხრება.

კიევიდან მოსკოვის გაზეთებს აუ- წყებენ, რომ შიშიანობა თან და თან ცხრება. ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ყველაფერი აირია; ბევრი სულგროთიანათ გადატაცდა. იყო შემთხვევა, რომ როიალს 15 მ. ყოდენ და სავარბელ-დივანს თითო მანეთათ იძლეოდენ. ახლა სამხედრო უფროსები ირწმუნებიან, რომ კიევს არავითარი საფრთხე არ მოელოს, ამიტომ მისი დაცვა საჭირო არ არის. შაქრის ქარხნების პატრო- ნებმა გადაწყვიტეს წარმოება განა- ხლონ. ახლა კიევიდან გამსვლელთა- გან პასპორტებისა და მოწმობების წარდგენას მოითხოვენ.

ეურნალ „რუსის ინვალის“ სამ- ხედრო მიმოხილველის აზრით გერ- მანიის ჯარის მიზანია რუსის მთავა- რი ძალები მდ. ნემანსა და პრიპი- ატს შუა ბრძოლაში ჩაითრიოს. რაც შეეხება გერმანიის ჯარის ფრთების სავსებით და ჩრდილოეთით მოქ- მედების გაძლიერებას, ეს ნემცებს რუსის ჯარის დასაქმებას უნდათ და ფიქრობენ, რომ ამით რუსის მთა- ვარი ძალებით შეჭერდებიან ფრონ- ტზე და პოზიციონურ-პასიურ ბრძო- ლას დაიწყებენ; მაშინ ნემცები შო- რიდან თავს ადვილათ მოუვლიან მათ და გადაწყვიტენ ბრძოლასაც გა- უმართავენ. მაგრამ რუსის ლაშქარი გაბედულათ და უვნებლათ მიდის უკან და ელის იმ დროს, როცა უკე- თესი პირობები დადგება.

რუსეთის წინააღმდეგ მიმართუ- ლი გერმანიის ძალები.

ეურნალი „მთავრობის უწყება“ სწერს: „მთელ ფრონტზე გამართუ- ლი გაცხარებული ბრძოლა გვიჩვენ- ნებს, რომ მტერი ცდლობს ხან ერთ რაიონში შეუტეოს ენერგიუ- ლათ რუსის ჯარს, ხან მეორეში, რომ ამით გამოურკვეველი გახადოს, თუ სად ფიქრობს იგი მთავარ დაკვრის მოწყობას. ისე გვიჩვენებენ თავს, თი- თქო მათი მოქმედება ადვილობრივ პირობებს ანგარიშს არ უწყვედეს; ამი- ტომ აქნამდე მთავარ მოქმედების

ერთ-ერთი პუნქტი არ აურჩევიათ, რომ ვიცოდეთ, თუ სად უნდა ვი- ყალიოთ მეტი ძალები მომავალი დი- დი ბრძოლებისათვის.

დანამდვილებით ვიცით მხოლოდ რიცხვი მტრის ჯარებისა, რომლებიც დღეს რუსების წინააღმდეგ მოქმე- დებენ.

ბალტიისა და ლიტვის მხარეში დღეს მოქმედებს დაახლოებით გე- რმანიის ჯარის 28 კორპუსი. ჩრდი- ლო და შუაგულ ფრონტზე 20 კო- რპუსი იბრძვის; ხოლო სამ რეთის და გალიციის ასპარეზზე 12 კორპუ- სი გერმანელებისა და 30 კორპ. კი ავსტრიელებისა. ამნაირათ კორ- პუსში თუ ახლანდელი შედგენ- ლობის მიხედვით ვიანგარიშებთ 38-30 ათასამდე ჯარის კაცს, აღმოაჩნდება, რომ დღეს რუსეთის წინააღმდეგ სულ სამი მილიონი გერმანელ-ავსტრიელი ჯარის კაცი იბრძვის. (რ. ვ.)

ბუქარესტიში გახსნარბული ბრძოლა.

ბუქოვინიდან რუმინულ გაზეთის კორესპოდენტი იუწყება, რომ ათი დღის დიდი მზადების და გადაჯგუ- ფების შემდეგ, ავსტრიის ჯარმა გა- ხარბებული ომი დაიწყო. ავსტრიე- ლებმა ძალები შემოიკრიბეს და ჩრდილოეთისაკენ რუსების განდევნას ცდილობენ. ასე რომ კორესპოდენ- ტის სიტყვით ბუქოვინის მიდამოებს ბრძოლის საშინელი ცეცხლი უკვე მოედო.

ქ რ მ ნ ი კ ა. რ უ ს ე თ ი. სიეზი მოსკოვში.

პეტროგრადიდან ბევრი დეპუტა- ტი მოსკოვის სიეზზე გაეშურა, რად- გან მას დიდ მნიშვნელობას აწერენ. მთავრობა და სათათბირო.

უკანასკნელი ცნობით მთავრო- ბა შეეცადა, რომ სათათბიროს ბლოკს შეთანხმებოდა, მაგრამ, რო- გორც სააგენტოს დეპეშებიდან ვი- ცით შეთანხმება არ მოხსრბდა.

სათათბირო დაითხოვეს მომავალ ნომებრამდე.

ხელახლათ შეკრებას ვადა გამო- ცხადებული იქნება თავის დროზე ცალკე უქაზით.

იმამ სათათბიროს შესახებ.

მოსკოვის გაზეთებს პეტროგრა- დიდან ტელეფონით აუწყებდენ, რომ გორემიკინთან გამართულმა თათბირმა აუცილებელ საჭიროებათ ცნო, რომ სათათბიროს სხდომები 15 ოქტომბრამდე შეაჩერონ და ამ ხნის განმავლობაში გამოაცხადონ რეფორმები ზევიდან 87 სტ. ძალით. ამგზით უნდა განხორციელდეს პრო- გრესიული ბლოკის პროგრამის მხო- ლოთ ის ნაწილი, რომელიც მთავ- რობისთვის მისაღებია. მთავრობა ფიქრობს, რომ ეს გზა რუსეთის საზოგადოებას გულს არ გაუტებს. (კ. ს.)

სათათბიროს დათხოვნა.

პეტროგრადი. 3 ეკ. თავმჯდომარე რომაინკო მოუწოდებს სათათბიროს წევრებს, რომ ფეხზე დგომით მო- სპინონ უმალდესი ბრძანება უმარ- თებულდეს სენატისადმი. ოპოზიციის ერთი ნაწილი დარბაზს სტოვებს. თავმჯდომარის ამანაგვი პროტოპო- პოვი ბრძანებას კითხულობს; სხე-

ლმწიფოს ძირითადი კანონების 99 მუხლის ძალით, გიბრძანებთ, რომ 3 სექტემბრიდან სახელ. სათათბი- როს მუშაობა შეწყვეტალ იქნას და დანიშნოს მისი განახლება 11 იანვარს 1916 წ., თანახმათ ჩვენი ბრძანებისა უმართებელდეს სენატი- სადმი, რომელიც მიცემული იქნე- ბა არა უგვიანეს ნოემბრისა 1915 წ. უმართებელდესი სენატი არ და- ყვენებს მოახდინოს შესაფერი გან- კარგულება.

ნამდვილზე მისი იმპერატორობი- თი უდიდებულესობის საკუთარი ხელით აწერია ნიკოლოზი.

თავმჯდომარე რომი აკო ხელმწი- ფე იმპერატორს უცხადეს ვაშას მთელი დარბაზი ვაშას იმეორებს. კრება დაიხურა.

ჭუთაისი, 4 სექტემბერი.

გუშინ უკვე ვსწერდით, რომ სახელმწ. სათათბიროს დათხოვნა მორავ სა- კითხად იყო გადაქცეული მთავრო- ბის წრეებში. დღევანდელი დეპეშა უკვე ამ დათხოვნის შესახებ ლაპა- რაკობს და სათათბიროს ნომებრამდე დათხოვნილია. ეს არის აქტი დიდი მნიშვნელობისა, რომელსაც ალბათ უფრო მეტ მნიშვნელობის ამბები მოჰყვება. რათ დაითხოვეს სათათ- ბირო და რა მნიშვნელობა აქვს სახელმძღვანელო ამ დათხოვნას, ამის შესახებ დეპეშაში არაფერია ნათქვამი ცხადია მხოლოდ ერთი-ბლოკი, რომელიც ეწყობოდა ორივე საკანონ- მდებლო პალატაში და პასუხის მგე- ბელი სამინისტრო, ან სამინისტრო საზოგადო ძალებისაგან შემდგარი ჩაშლილად უნდა ჩაითვალოს და უარყოფილად. ცხადია აგრეთვე ისიც რომ ამიერიდან მთელ მზრუნველობა- საც და პასუხის-მკებლობას ომის და ზავის შესახებ თვით მთავრობა კისრუ- ლობს სათათბიროს დაუხმარებლათ და ჩვენც უნდა ვუცადოთ, როგორ შე- ასრულებს ის ამ მიზანს, მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის გა- რემოებაც, ჯერ უხილავი ჩვენ თვის, თუ როგორ შეხვდება რუსეთს სათათბიროს დათხო- ვნას. დეპეშაში ნათქვამია, რომ უმა- ლდეს უქაზს წაკითხვამდე ოპოზ- ციის ნაწილმა სხდომის დარბაზი დასტოვა. მაგრამ აქ მხოლოდ ნა- წილზეა ლაპარაკი და დანარჩენი დეპუტატები უმალდეს უქაზს ურას ძახილით შეხვდნენ. ეს აშკარა მაჩ- ვენებელია იმისა, რომ რუსეთი სხვა და სხვანაირად შეაფასებს ამ აქტს. საზოგადოთ კი, უნდა ვსთქვათ, რომ იწყობა ახალი ხანა რუსეთის ცხო- ვრებაში და დიდი მნიშვნელობის ამბები კარზედ არიან მომდგარნი.

რახელ არ გვიწერია ამ თუთხმე ტი წლის განმავლობაში? ამ ხნის განმავლობაში ჩვენი მხატვრული ლიტერატურა დაეცა და ქართულ- მა სოციალოგიამ“ კი ფრთა გაშა- ლა. საუკეთესო ნიქნი ჩვენი ქვეყ- ნისა სოციალურ საკითხებს დაეწა- ფნენ და თუ რამ დასანანებელია ამაში, მხოლოდ ის, რომ ამ თუთ- ხმეტი წლის განმავლობაში არც ერთი სარქის ბულდაინი არ დაე- ბადებია—გ. ერისთავის „დავიდან“, რომელსაც ეთქვა: „მოითმინეთ, ბა- ტონებო! თქვენს ნაწერებში არც ერთი „ზაპატო“ არ არის!“ და სწორეთ ამან შექნა ის გარემოება, რომ, ესლა ვერც ეს „ზაპატო“ გვიშველის და საჭიროა წერტილი, დიდი წერტილი, ვით დიდი საფლა- ვის ქვა, რომ წერა გათავებულათ ჩავსთვალოთ და მოსალაპარაკებლათ შევიყაროთ. მე ვერ წარმოიდგენია ადამიანი, რომელიც მეგობრობას, საქმეს მართა წერილებით აწარმო- ებდეს. საჭიროა ხანდახან ერთმანე- თის ნახვაც. კალამი ცბიერია, კა- ლამი მუდამ ბრძნია და დასასრულ იგი მუდამ თავით იკვებება, რომ- ლიდანაც გული შედარებულ შორსა- სდევს. ენა კი გაცილებით ახლო- სდევს გულთან. მაშასადამე გულ- წრფელობა ენის წვერზედ უფრო მეტია, ვიდრე კალმისა. თანამედრო- ვე ცხოვრება ისე მდიდარია ტენი- კურის სისრულით, რომ მართო

წერტილი.

თფრისის ერთ ერთ გაზეთის გუშინდელ ნომერში, ერთი მწერალი, რომელიც აქვე ვიტყვით, ძალიან ხშირად სწერს და მომეტებულად ერთსა და იმავე საკითხზედ, აცხა- დებს: თუ ჩვენში ეროვნულ ძალითა ერთობა ვერა ხერხდება, იმიტომ, რომ ძალიან ცოტასა ვსწერთ საქი- ბოროტო საკითხებზედ. ასეთ გან- ცხადების შემდეგ, უნდა მოველო- დეთ, რომ ამ „საქიბოროტო სა- კითხებზედ“ წერას ალბათ მოუხში- რებენ. მაგრამ დაწმუნებული ვარ, რომ ეს მოხშირებული წერაც ვერ

გამოაკეთებს საქმეს. მართალია, რომ ჩვენ ცოტას ვსწერთ? მართალია, რომ ეს არის მიზეზი იმ მწარე მოვლე- ნისა, რომელსაც ქართულ ეროვნულ აზრის უქონლობა ჰქვია? რომ შეი- ძლებოდეს იმ ქალაქის გაზომვა, რომელზედაც იბეჭდება სიბრძნე ჩვე- ნი პოლიტიკური გაღიებისა. ისინი დაჰფარადენ ველებს და მათებს ჩვე- ნის ქვეყნისას, ისე, როგორც ხში- რი თოვლი ჰფარავს მიწას, გახურე- ბულ ზამთარში. და რომ შეიძლე- ბოდეს იმ მელნის გამოწყვა, რომელიც ეგლისება ამ ქალაქს, ჩვენ ამოვავსებდით ღვინის ყველა ქვევ- რებს ჩვენს მარნებში—რომლებიც, მოუსავლობის გამო, წელს ცარიე- ლები დარჩებიან. მელნის ფერში შედებილი ქალაქის უშუშუნები, ჩვენში ბევრია. ეს უშუშუნები ყო- ველდლე იწვიან და თუ რამ სწამ- ლავს ჩვენ პოლიტიკურ ყნოსვას და თუ რამ აყენებს ჩვენში ბოლს, რომელიც ხედვას გვისაბას, სწო- რედ ეს ქალაქის უშუშუნებია ამაზედ სწერენ ჩვენში არამც თუ ყოველ დღე და არამც თუ მარტო ისინი, რომელთაც თავს უდევთ უზომო ტვირთი ურწალისტისა და პუბლიცისტისა, ამაზედ იწერებიან რედაქციებში თვით უბრეტენხიო და გადაკარგული პროვინციელი მკითხველებიც და კაცი ქართულ გაზეთის რედაქციაში უნდა იჯდეს, რომ, მათ წერილების კითხვით ერთ- ხელ და სამუდამოთ დაწმუნდეს, რომ ჩვენში ყველა თურმე ერთნაი- რად სწერს, მაგრამ სხვანაირად კა- ლაპარაკობს. ქართული პოლიტიკა და მით უმეტეს ეროვნული, ინგ- ლისურ ენას ჰკავია. იწერება: „მანჩესტერ“ და იკითხება კი „ლი- ვერპულით“. და ყველა ნიშნები იმისა, რომ ასეთი რამ ჩვენი ორკა- ნიული ნაკლი ყოფილა.

რახელ არ გვიწერია ამ თუთხმე ტი წლის განმავლობაში? ამ ხნის განმავლობაში ჩვენი მხატვრული ლიტერატურა დაეცა და ქართულ- მა სოციალოგიამ“ კი ფრთა გაშა- ლა. საუკეთესო ნიქნი ჩვენი ქვეყ- ნისა სოციალურ საკითხებს დაეწა- ფნენ და თუ რამ დასანანებელია ამაში, მხოლოდ ის, რომ ამ თუთ- ხმეტი წლის განმავლობაში არც ერთი სარქის ბულდაინი არ დაე- ბადებია—გ. ერისთავის „დავიდან“, რომელსაც ეთქვა: „მოითმინეთ, ბა- ტონებო! თქვენს ნაწერებში არც ერთი „ზაპატო“ არ არის!“ და სწორეთ ამან შექნა ის გარემოება, რომ, ესლა ვერც ეს „ზაპატო“ გვიშველის და საჭიროა წერტილი, დიდი წერტილი, ვით დიდი საფლა- ვის ქვა, რომ წერა გათავებულათ ჩავსთვალოთ და მოსალაპარაკებლათ შევიყაროთ. მე ვერ წარმოიდგენია ადამიანი, რომელიც მეგობრობას, საქმეს მართა წერილებით აწარმო- ებდეს. საჭიროა ხანდახან ერთმანე- თის ნახვაც. კალამი ცბიერია, კა- ლამი მუდამ ბრძნია და დასასრულ იგი მუდამ თავით იკვებება, რომ- ლიდანაც გული შედარებულ შორსა- სდევს. ენა კი გაცილებით ახლო- სდევს გულთან. მაშასადამე გულ- წრფელობა ენის წვერზედ უფრო მეტია, ვიდრე კალმისა. თანამედრო- ვე ცხოვრება ისე მდიდარია ტენი- კურის სისრულით, რომ მართო

კოცნისთვის თუ მივა კაცო კაცთან. დანარჩენ შემთხვევაში ყველაფრის გაკეთება ერთმანეთის უნაბაოდ შე- იძლება. ფოსტა, ტელეფონი, ტელე- ლეფონი, ან რს საშუალებები, რომელთაც ადამიანის სურვილი, ნება მხოლოდ ხმის ბგერად აქციეს და ეს ხმის ბგერა დაუქანცავად დადის დაუსრულებელ ზომის მავთულე- ბზე და საქიანობს. მაგრამ მიაქყო- ეთ ყურადღება, რამდენს ხარჯვენ თანამდროვე მრეწველები „კომი- ვოიაოურებზედ“, რომ პროპაგანდა გაუწიონ პირადის მოლაპარაკებით თავის წარმოებას. უფრო შორს მი- დის ამ მხრივ, სახელმწიფო და იმ დროს, როცა ტელეფონით და ტე- ლეგრაფით შეუძლიან მას ყველაფ- რის გაკეთება, რადგანაც ერთიც მის ხელშია უსასყიდლოთ და მეო- რეც, მილიონებით ხარჯავს ელჩე- ზედ, კონსულტებზედ და სხვა ათას აგენტებზედ. რათა? ადვილი მისა- ხვედრია რათაც! გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილათ მოუბარი“. შოპენჰაუერს მთელი თავი აქვს და- წერილი იმის შესახებ, რომ პსევ- დონიმი ლიტერატურაში მავნე მო- ვლენაა. ადამიანი, რომელიც პსევ- დონიმს ეფარება, უფრო მეტ დაუფე- ვრობას გამოიჩენს მოპირდაპირის შესა- ხებ, ვიდრე ის, ვინც აშკარათ აწერს თავის სახელს. თუ ეს ქვეშაბრტემაა და ეს კი ასეა, მაშინ ისიც მართა- ლა უნდა იყოს, რომ წერაც ყველა თა- ვის დიდ ღირსებასთან, მოკლებული არ არის ზოგიერთ ნაკლს. მანძილი, რომელიც აშორებს ერთ მწერალს მეორე მწერლისაგან, დრო და პი- რადი გუნება, რომლითაც სწერს იგი—ყველა ეს ის შემავალი ელე- მენტებია, რომელთაც საკიოხთან პირდაპირი დამოკიდებულებმა არა აქვს, მაგრამ მოქმედობს კი მწერლის შემოქმედებაზედ. მერე რამდენია ნერვებ მშლილი მწერალი, კატბრია- ნი პუბლიცისტი, რომლებიც იძუ- ლებულნი არიან შესრულონ თავისი პროფესიონალური მოვალეობა, და და სწერონ მაშინ, როცა ნერვები სტკივით, კატბრი აწუხებთ. განა რითია მათი მდგომარეობა უკეთესი იმ მსაჯულის მდგომარეობაზედ, ლევ ტოლტოის „აღდგომაში“, რომელიც მასლოვას ქალს მუცლის ტკივილის დროს ასამართლებდა?

რისთვის მოვიყვანეთ ყველა. ეს მიაგალითები? რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ დავსცეთ მნიშვნელობა ბექვდითი სიტყვისა. პუბლიცისტი- კას და მის მომდევნო ეურწალისტი- კას, რომლებიც თავის უმთავრეს საუფუძველში მეცნიერებას ემყა- რებიან, თავისი წმინდა დიდი მიზნები აქვს. არამც თუ უნ- და ვიცნათ ეს, ჩვენ უნდა გავიმი- სჯვალთ მისადმი ღრმა პატივცემით და უზომო ნდობით, როგორც საშუ- ლებისადმი, რომელიც, როგორც მახარობელი ავისა და კარგის, წინ უძღვის ყველა დიდ მოვლენას. მა- ნამ, როგორც საშუალება, და მე- ტადრე ჩვენში, საქართველოში, სადაც უფრო მეტი იწერება, ვიდრე კეთდება, იგი ერთად ერთი არ არის და უშამდგომ- ლო, პირდაპირი შეხვედრა, პირდა-

პირი ლაპარაკი ერთმანეთთან, იმ პირებისა ვინც გამოსახევენ ამ ქართულ ხალხის იდეალებს და სურვილებს მეტადე მისინ, როცა მათ უკვე ამდენი სწერეს, ისევე აუცილებელია, როგორც ტანის შემწვარება ბანაობის შემდეგ, როგორც ზავის კონფერენციის მიხედვით, სასტიკი ამის შემდეგ. ერთმანეთზე გამოტყუებული ხალხს, შეიძლება სულ სხვა სურათი გადგელოს წინ, ერთმანეთს რომ ნახვენ. აი, რაზედ უნდა ვიფიქროთ ამ ქართულ.

მ. ამირეჯიბი.

ახალი ამბავი. ქუთაისი.

1 ნკენისთვის სოფ. ტყაირში (ქუთაისის მაზრა) მოხდა მეტად საზარელი ამბავი: საღამოს 5 საათზე, ამავე სოფლის მკვიდრმა სოლომონ მარკოზის ძე ჩხობაძემ ნაჯახით სასიკვდილოთ დასტრა ღვიძლი დედამა. როგორც გამოიკვია, თითოეულ მათგანს ოთხ-ოთხი კრილობა აღმოჩენია. ჩხობაძის დედა, კრილობის გამო, გარდაიცვალა, ხოლო მამა შეიძლება გადარჩეს სიკვდილს. დამნაშავე პოლიცემ დაპატიმრა.

ქუთაისში ახლად დაარსებულ საზოგადოების „სინათლის“ მიერ გახსნილი სათავად აზნაურო ქალთა ქართული გიმნაზიის ინსპექტორათ დანიშნა ქუთ. ქართული გიმნაზიის მასწავლებელი დი. ნიკ. უზნაძე.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მისაღები გამოცდები ჯერ კიდევ არ დასრულებულა. სულ არის 240 მთხოვენილი. თავისუფალი ადგილი (ვაკანსია) კი მხოლოდ 40, ამის გამო იმ მოსწავლეთა მშობლებმა, რომელთა შვილებიც მისაღები გამოცდებზე არიან დაშვებულნი, თხოვნით მიმართეს ყოვლად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსს გიორგის, რათა ხსენებულ სასწავლებელში გაიხსნას პარალელური კლასები. ყოვლად სამღვდლომ ნება დართო და დაავალა ხსენებულ სასწავლებლის ინსპექციას ამ საქმის სისრულეში მოყვანა.

14 ეკენისთვის ქალაქის თეატრში ცნობილი ახალგაზდა მომღერალი ვარდენ ლორთქიფანიძე, გამართავს კონცერტს ლიტერატურული განყოფილებით კონცერტის საფის თფილისიდან იქნებიან მოწვეულნი საუკეთესო მომღერლები და ცნობილი მწერლები.

ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობას დაუდგენია, ვინც 25 მანათს არ შემოიტანს წინააღმდეგ ბეთ, მათ თეატრი არ დაეთმობათ, ამასთანავე აღარც ბილეთების გაყიდვა შეიძლება ხელზე.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, ქუთაისის სათავად აზნაურო გიმნაზიიდან დათხოვნილი იქნებიან ის მასწავლებლები, რომელთაც საკმაო ცენზი არა აქვთ. ასეთი მასწავლებლები კი ქართულ გიმნაზიაში ბევრი იყო.

ქალაქ ქუთაისის სანიტარულ ექიმთ დანიშნა სერაფიონ მიხეი-

ლის ძე დადუნაშვილი. ექიმა დადუნაშვილმა 4 სექტემბერს სანიტარ ჩაჩანიძისა და ქალაქის ფერშლის ბნელენტის თანადასწრებით დაათვალიერა რამდენიმე უბანი და გააფრთხილა მცხოვრებნი, რომ სისუფთავე დაიცვან.

ჩვენი გაზეთისათვის ახალი ამბების „მოამკრები“ (რეპორტიორი) ნიკანდრი ასათიანი დათხოვნილ იქნა რედაქციიდან და ჩვენს რედაქციის სახელით მას ნება აღარა აქვს მიმართოს დაწესებულებებსა და ქართო პირებს ცნობებისათვის.

ქართული სამღვდლოება და მისი იდეალი.

ბევრი ქირა და ვარამი დასტეხია თავზე საქართველოს, ბევრი რისხვა და განსაცდელი გამოუვლიო ქართველ ერს თავის ისტორიული მსვლელობაში, მაგრამ ის განსაცდელი, რომელიც მას ბედმა არგუნა მეცხრამეტე საუკუნეში, თავისი სიმძიმითა და სიმკაცრით ყველას აღემიტება, ყველას გადააქარბებს.

დიდი ტკივილები გამოიწვია ჩვენ ცხოვრებაში იმ პოლიტიკურმა და სოციალურმა ცვლილებებმა, რომელნიც წარსულ საუკუნეში მოხდა ჩვენში ერთბაშით, ერთის დაკვრით მოისპო, დაიქცა საუკუნოების განმავლობაში შექმნილი ჩვენი პოლიტიკური და კულტურული ორგანიზმი და მის ნაცვლად ჩვენ წინ აღიმართა სხვა, უცხო, ჩვენთვის გაუგებარი პოლიტიკური ორგანიზმი. უცბათ, ნაჩქარებთ მოისპო, აღმოიფხვრა ძველი შესისხორცებული კულტურა და მის ადგილას შემოიჭრა—ახალი, უცხო კულტურა გასწყდა ნათესაური კავშირი ძველსა და ახალს შორის.

ამ ახალმა კულტურამ თავიდან ბოლომდის შეარყია ჩვენი ძველი ცხოვრება. ახალი კულტურა ძველ ქერქში ვერ დაეცია, ახალი გამოხატულება მიიღო, ახალი განსახიერება გამიწვია პოლიტიკური ცვლილებას თან მოჰყვა სოციალური ცვლილებაც: მოისპო ძველი წოდებრივი განწყობილება, წოდებრივი დამოკიდებულება და საფუძველი დაედო ახალ ურთიერთობას. დღეს ჩვენ თვალწინ წარმოგებს ეს პროცესი, ჩვენ თვალწინ ხდება ეს კლასობრივი დანაწილება, დაყოფა ჩვენი საზოგადოებისა. ამ დაყოფისა და დანაწილების გარშემო ტრიალებს დღეს მთელი ჩვენი ერის ცხოვრება. გადადგა გზიდან პირველი ორი წოდება და მათი ადგილი დაიკავა მესამე და მეოთხე წოდებამ. ი. თავად აზნაურობამ და სამღვდლოებამ თავისი ადგილი თავისი უფლება დაუთმეს ბურჟუაზიას და მშრომელ ხალხს. ერის მეთაურობა, ერის წინამძღოლობა კი ამითან შემდგარ ინტელიგენციას ჩაბარდა.

ამ პოლიტიკურსა და სოციალურ რყევანგრების დროს ჩვენი სამღვდლოებაც არ დარჩა უნაწილოა. მას ძალით მოაძვრეს თავისი საკუთარი თავი და სხვა უცხო, უხამსი თავი მოადგეს მის ტანს, რომელსაც მისა არც კირი მიანსდა ქირათ და არც ღზინი—ღზინით. ამ ორი სხვადასხვა ელემენტისაგან შედგენილი სამღვდლოება რა საკვირვე-

ლია, რომ ვერ იქნებოდა თავისი ერის სულისა და გულის გამოხატველი. ეს სამღვდლოება ხალხისაგან უარყოფილი და ინტელიგენციისაგან ათვალწუნებული, უბრალო მოხელეთ ვახდა, მართლმღვდელ მოქმედების მშრალათ აღმასრულებელი შეიქმნა. მას ჩამოერთვა ყოველივე ინიციტივა, მოესპო თვითმოქმედობის უნარი და შეიქმნა სხვისი ნების აღმსრულებელი. ის სხვის შესჩერებია; სხვის შეპყურებდა და მისთვის სხვა „ზრუნვას“, სხვა „მოქმედობას“.

ამ მდგომარეობაში მყოფმა ჩვენმა სამღვდლოებამ დაიწყო ახალი გზის ძებნა და მალე იპოვა კიდევ მან პირველმა აილო აილო ახალი ცხოვრების და ახალი გზის გაკაფვას შეუდგა. ეს გზა არის სწავლა-განათლების გზა. ის, თუმცა ქონებით ღარიბი, მაგრამ ენერგიით აღსავსე, შეუდგა და მთელი თავისი ძალით მიაწვია შვილების სწავლა-განათლების საქმეს. ამ მიზნით მან დაიარსა დამალი და საშუალო სასწავლებლები, რომლებიც იმ დროს შეიქმნენ თითქმის ეროვნულ სასწავლებლები ჩვენში. დღემდის მართლმართო თფილისის სასულიერო სემინარია ითვლებოდა ჩვენი ბედშავი ცხოვრების პარიზონტზე ერთადერთ მაცისკროვნებელ ვარსკვლავათ. საქართველოს მაჯის ცემას პირველათ აქ იგრძნობდით, ქართველი ერის გულის ნადებს აქ გაიგონებდით. თფილისის სემინარია იყო ერთადერთი მაჩვენებელი ბარომეტრი ჩვენი ღუბჭირი ცხოვრებისა. როგორც კი ჩვენი ცხოვრების ფონზე შავი ღურბლები გამოჩნდებოდნ ხალხზე, პირველათ აქ იფეთქებდა ქართველის გულისწყრომა, აქ პოულობდა ის გამოძახილს. ამიტომაც უმეტესი ნაწილი ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისა აქიდან გამოდიოდნ.

ქართველი სამღვდლოება არას ზოგადდა სწავლა-განათლებისათვის. მღვდელ მთავრებიდან დაწყებული უკანასკნელ მედავიანემდის, მისთვის იყო თავ-გამოდებული. ამიტომაც, რომ ჩვენ ნასწავლთა უდიდეს პროცენტს სამღვდლოების შვილები შეადგენენ. ასე რომ ჩვენში სწავლა-განათლების პიონერთ სამღვდლოება ითვლება. ამ მხრივ მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ერის წინაშე. ჩვენი სამღვდლოების ამ დიად ღვაწლს ვერც ერთი გულწრფელი მკვლევარი ჩვენი ცხოვრებისა გვერდს ვერ აუხვევს.

დღეს სწავლა-განათლებით ზურგ გამაგრებული ჩვენი სამღვდლოება ცდილობს დაკარგულის პოვნას, თავის ტანზე თავის საკუთარი თავის მოდგმას. ამიტომაც მან დღეს ასე მედგრაო, ასე შეუპოვრაო დააყენა საკუთი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მართვა-გამგეობის აღდგენის შესახებ. ეს საკუთი დღეს რუსეთის უმაღლეს სასულიერო მთავრობას საკირ-ბოროტო საკითხათ გახდომია. ბევრს ცდილობს ის, რომ ამ საქმეს როგორმე აბრუნდი უქნას და ჩაილულის წყალი დააღვიწოს, მაგრამ აიოლ. შეუპოვებული ცხოვრება თავისას გაიტანს და ჩვენ სამღვდლოებასაც ეშველება. ის გახ-

დება ნამდვილი მოძღვარი, ნამდვილი მესაიდუმლე ჩვენი ერისა და მაშინ ერსა და სამღვდლოების შორის ჩატეხილი ხიდი გამოთლდება, გაიდება. აი ის მიზანი, აი იდეალი, რომელსაც შეტრფის, რომელსაც შენატრის დღეს ჩვენი სამღვდლოება!

პასუხათ ბ-ნ უსნოვს.

(კომერციული სასწავლებლასა და ბ-ნ კოტილევის კანდადატურის შესახებ).

სწორეთ მეც ისე დავიწყებ ამ ჩემ საპასუხო წერილს, როგორც ბ-ნი უსნოვი იწყებს:

საკვირველი ხალხი ვართ ჩვენ ქართველები: საკმარისია ვინმე დაგვემაროს, ჩვენთვის თავი დასდვას, სანამ ჩვენთან არის თავის თავს გვიჩვენია და, თუ საჭირო აღარ შეიქნა და დაგვშორდა, უნდა გავათახსიროთ, დედამიწასთან გავასწოროთ, ათას გვარი ცილი ღავსწამოთ. დაჩუმებული ვართ, როცა ხმის ამოღება საჭიროა, და ვცვირით მაშინ, როდესაც არაფრის გამოტანა აღარ შეგვიძლია. ასე მოსდის ბ-ნ უსნოვსაც, სრულიად გაუცნობელს საქმესთან! რას ნიშნავს ბ-ნ უსნოვის ასე დიდგულათ გამოსვლა?! ჩემის ფიქრით, ან ძალიან გულნატყენია იმაზე, რომ თავისი პარტიის კანდადატურა არ გავიდა, ან და რაღაც პირადი ანგარიშებით არის გამსკვლეული, ან და მეგობრობის გული-სათვის გადააქრელა „სახ. ფურცლის“ გაზეთი.

მე არ შეგეხები ბ-ნ კოტილევის კანდადატურას, რისთვის აირჩიეს ის და რისთვის ქართველი მკოდნე და უფრო გულშემატკივარი არ დაუყენეს სათავგამოცემო კომერციულ სასწავლებელს, შეიძლება ამ ერთის მხრით მეც ვეთანხმებოდე ბ-ნ უსნოვს, მაგრამ რაც შეეხება ბ-ნ კოტილევის პირადათ, და მის ასე დედამიწასთან გაასწორებას და იმ ცილის წამებას, რასაც ბ-ნი უსნოვი მას ახვევს თავზე, მე ეს გადამტებულათ მიმაჩნია და ვინც დაახლოებით არ იცის ის, თუ რა იყო ბ-ნი კოტილევისკი როგორც თავის მოსამსახურეებისა, ისე სასწავლებლისა, მოწაფეებისა და მშობლებისათვის, ბ-ნ უსნოვს თავისი წერილით შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მკითხველი და დაუჯეროს იმ სიცრუეს და კორს, რომელსაც აღიარებს ბ-ნი უსნოვი. ერთი მიზნად დავკითხო ბ-ნ უსნოვს: სად ბრძანდებოდა მაშინ, როდესაც მთელი საზოგადოება დებუტაციას გზავნიდა თფილისში და სთხოვდა კოტილევისკი დარჩენილიყო, როგორც კარგი და ღირსებით სავსე აღამიანი-სად ბრძანდებოდა ბ-ნი უსნოვი, თუ კი ამჩნევდა ქართული ენის დგენას, რისთვის არ ამოიღო ხმა! რისთვის მალავდა გულში დღემდის იმ დანაშაულობას, რასაც ბ-ნი კოტილევისკი, მისი აზრით, სჩადიოდა? დღეს შეიქნა დამნაშავე და უნიკო პედაგოგი, როდესაც კომერციული სასწავლებლის უფროსად აირჩიეს?!-მე პირადათ არც ძალიან დახლოვებული ვარ ბ-ნ კოტილევისკისთან, არც არას გამოველი იმისაგან, ისეთი უფროსი იყო

ჩემი, როგორც სხვების. ყოველთვის დაკვირვებული ვიყავი მის მოქმედებაზე და, მართლაც, ხელს შეწყობილბას ახდენდა დიდი უფროსი ჩვენში და არც არავითარი უცდი გაწყობილება ჩვენ მოსამსახურეებსა და მის შორის არ ყოფილა. იგი ყოველთვის დინჯი, თავდაქერილი, პატიოსანი, დამხმარე და თავაზიანი იყო. მას განსაზღვრული არ ქონდა დრო მოთხოვნილების მისაღებათ, იგი როგორც მშობლებს, ისე მოწაფეებს ყოველ დროს და ადგილს ღებულობდა და ყველას თავის გაკვირებას უსმენდა, იგი არ აყურყუტებდა გარეთ მოთხოვნილებს და პასუხს ერთი კვირის და თვის იქით არ აძლევდა, იგი თუ საჩქარო საქმე იქნებოდა, ხელათ გაკვეთილების დროს სთხოვდა მასწავლებლებს დაეცადათ, გაერჩიათ ესა თუ ის საქმე. იგი მუდამ და ყოველთვის თავგამოდებით იცავდა მათს ინტერესს და ყოველივე, რომ მართალია, ყველა ამას დავასაბუთებ და დავუმტკიცებ ბ-ნ უსნოვს, რომ იგი შემცდარია და გამსკვალულია მხოლოდ პირადი ანგარიშით, რომელიც ქართველებს, საუბედუროთ, შესისხლხორცებული გვაქვს.

დავიწყებ, მაგალითად, შესახებ აკაკის გარდაცვალებისა. უსნოვი ბრძანებს, რომ სად იყო ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, რომელშიაც აკაკი მიიღო პირველი განათლება, სად იყო ან კორპორაციის წარმომადგენელი, ან დებემა, არც წარმომადგენელი გვიჩანავს და არც დებემა წავგიკითხავს და ამის მიზეზი ბ. კოტილევისკი არისო. სწორეთ ეს ისეთი ცილის წამებაა და ასეთი სიცრუე, რომ ყოვლად შეუძლებელია ამის მოთმენა. პირდაპირ, არ ვიცი, რა უნდა უწოლოს კაცმა ესეთი სიცრუის მთქმელს!

როგორც კი გავიგეთ აკაკის გარდაცვალება, არ მახსოვს მეორე თუ მესამე დღეს მთელი გიმნაზიის მოწაფეებს უბრძანა კოტილევისკი მეოთხე გაცვეთილის შემდეგ ეკლესიაში შესულიყვენ, მთელი გიმნაზიამ თავისი მასწავლებლებით გადაიხადეს პანაშვილი. პანაშვილის დაწყებამდის მღვ. მამა პლატონ ცქიტიშვილმა სიტყვა წარმოთქვა. მეზუთე გაცვეთილიდამ მოწაფეები გაათავისუფლეს ამის შემდეგ დებეში თვით კოტილევისკი შეადგინა, წავგიკითხა და გაგზავნა კიდევ. მეორე დღეს ამოვირჩიეთ ამხანაგებთა შორის წარმომადგენლათ ამ. პ. სვანაძე, რომელიც დასაფლავების დროს იყო კიდევ თფილისში. ამის ხარჯი (გზისა და სხვა) გადავიხადეთ კიდევ, ამას, იმედია, თვითონ ბ. სვანაძეც დაამოწმებს. მართალია, სვანაძეს ერეგნის მოედანზე არ უყვიროა: „გი გაიგონეთ, თქვენ უსნოვო, მე ქუთ. კლასიკურ გიმნაზიის წარმომადგენელი ვარო“. ეს ერთი სიცრუე ბ-ნ უსნოვისა.

ახლა გადავიდეთ ქართული ენის სწავლებაზე, როგორც სავაჟო, ისე ქალთა გიმნაზიაში.

ბ-ნმა კოტილევსკიმ გადააქარბა კიდეც იმ ბრძანებას, რაც უმაღლესი მთავრობისაგან ჰქონდა ნაბრძანები და ქართულ ენას ღიად უკრძალავდა მიაქია. ბ-ნ უკრძალავდა დაწვრილებას, რომ ნაბრძანები იყო მარტო 7 კლასამდე ყოფილიყო ქართული ენა. კოტილევსკიმ კი ეს საგანი სავალდებულოდ სცნო და, როგორც მერვე კლასში, ისე მოსამზადებელ კლასებშიც უწევდა. ბ. კოტილევსკიმ პედაგოგიურ საქმიანობაში განაცხადა, რომ უჩვეულოდ ქართული ენა მოსამზადებელ კლასებში უნდა იქნეს და, როდესაც ერთმა მშობელმა თანხა შემოიტანა, რომ გაათავისუფლებოთ ჩემი შვილი ქართული ენისაგან, ბ-მა კოტილევსკიმ არ გაათავისუფლა და სთქვა: „თუ არ უნდა ქართული ისწავლოს, წაიყვანოს თავისი შვილი“. ასეთი შემთხვევა ძალიან ბევრი იყო. გადასაყვანი ეგზემენების დროს როდესაც ერთმა მასწავლებელმა თანხა წარმოასთქვა ის აბრია, რომ ქართული ენაში ნიშანი ორი არას ნიშნავს, ქართული ენა სავალდებულო არ არის და შეიძლება მოსწავლის გადაყვანა შემდეგ კლასში 2 ის ნიშნით, ბ-მა კოტილევსკიმ პირველმა წამოიძახა: „რას ნიშნავს სავალდებულო არ არისო. თუ კი ფრანგული, ნემეკური, ლათინური და სხვა ენები სავალდებულოა, ქართველისთვის, ქართული ენა სავალდებულო არ არის?! მე არ შემიძლია დაგეთანხმობთ ამხელ და უნიშნავ მათ აუცილებლათ ხელ შეორეთ გამოცდას აგვისტოში, მე კარგათ მახსოვს ის აღფრთოვანება, რომელიც ამ სიტყვებში გამოიწვია ქართული ენის მასწავლებლებში. იმედია, მას დამიმოწმებენ თვით ქართული ენის მასწავლებლები. ახლა გადავიდეთ ქალთა გიმნაზიაში. ბ-ნი უკრძალავდა ენაზე ქართული ენის დაყენებას და მოწმეთ მამა მ. ც-ლს ასახელებს: „ამა, მამა ც-ლმა წინადადება შეიტანა პედაგოგიურ საბჭოში, რომ კიდევ ორი ან სამი კაკეთილი მიეპატრონათ, მაგრამ კოტილევსკიმ არ მოილოდინა“ აი, სწორედ მტკნარი სიტყუე. ერთი რომ კოტილევსკიმ აქ ქართული ენა სავალდებულოდ გახდა და ეს იქიდანაც სწავს, რომ, ბათუმიდან გადასულია მოწვევა ქალთა განაცხადა: ქართული ენა ბათუმის გიმნაზიაში არ მისწავლია და გამათავისუფლებოთ“ კოტილევსკი არ დასთანხმდა და სთხოვა მამა მ. ც-ს ვილს როგორმე განსაკუთრებით ემაცადანა მასთან, და, თუ ეს არ იქნებოდა, არც მიიღებდნენ. მეშვიდე კლასში ქართული ენაში ისე აქვთ დანიშნული ეგზემენები, როგორც სხვა საგნებში. ამას მე დარწმუნებული ვარ მამა მ. ც-ს ვილიც დამიმოწმებს. რაც შეეხება კაკეთილებს მამა მ. ც-ს უკრძალავს გონია კაკეთილების ასე უბრალოდ მიმეტება და მომეტება თითქოს დირექტორის და ან საბჭოს ნება იყოს, მით უფრო ქალთა გიმნაზიაში, სადაც ხანძარი უნდა ვენდოთ დახარება ეძლევა და არსებობს მხოლოდ სწავლის ფულით. ასე რომ იყოს, იცოცხლებ ჩვენ მოვახერხოთ და კაკეთილები მეტი გვექნეს და ჯამაგირიც მეტი გვემეცა, მაგრამ ეს ასე არ არის.

ნაცნობი.

(დასასრული ხელ.)

თავად იასონ გელოვანის დაკრძალვა.

განსვენებულ იასონ გელოვანის ცხედარი მისმა ქრისტიანულმა და პატივის მცემლებმა ქუთაისიდან ლეჩხუმს, მის სამშოლო სოფელ ახალქალას გაასვენეს, სადაც 19 აგვისტოსთვის დანიშნული იყო გაკრძარვით და დაკრძალვა მიცვალბულია. გზა და გზა მიცვალბულს ეგზემენობა თითქმის ყველა სოფელი სამღვდლოების თანხლებით, უბოძდნ პანაშვილებს და ერთსულოვნებით დასტრიალდნ საყვარელი აღამიანის გვამს.

დაკრძალვის დღეს, 19 აგვისტოს, დღა აღრიანათ იყუა დენა ხოლმე ცხენით, თუ ფეხით და მალე განსვენებულის ფართო გზო-გარემო იცისო სხვადასხვა წრის, წოდებისა და მიმართულების საზოგადოებით. აქ შემოკრბა მთელი ლეჩხუმის დამწვრებული ხალხი.

ლეჩხუმს იშვიათად ახსოვს, რომ ამდენი სხვადასხვა წრის ხალხი ერთ ლაგს შეკრებილიყოს ქირსა, ანუ ლხინში და ამ დღეს კი თავდა-აზნა-ურობა და თუ გლებობა, ვაქარი თუ მუშა შოგუდ სახელოვანი თავადის ცხედრის წინაშე მწუხარების გამოასთქმელათ, მიუხედავად იმისა, რომ მათ კერძოდ მისწვევი ბარათები არ მიუღიათ, რის ფორმალურათ დარიგებაც გამოტირილის დღის წინ ჩვეულებათაა ლეჩხუმში. ყოველივე ეს ამტკიცებს მას, რომ ხალხი არა ფორმალურათ, არამედ სრულიად გულწრფელი მწუხარებით მოსულა ძვირფასი აღამიანის წინაშე უკანასკნელ ვალის მოსახდელათ.

იასონ გელოვანის პიროვნება და მოღვაწეობა სრულიათ დაასურათეს საფლავს წინ წარმოთქმულ სიტყვებში სხვადასხვა წრის წარმომადგენლებმა, რომელთა ლაპარაკის დროსაც ხშირათ გაისმოდა გულდამწველი ქვათინი შეკრებილი საზოგადოებისა.

სიტყვები წარმოთქვეს, დეკანოზმა ივანე მარგინამა, რუბენ ყიფიანმა, სერგო ახვლედიანმა, ცაგერის გლეხობის წარმომადგენელმა გ. ხეცურიანმა, ახალ გაზღობისაგან სტ. ე. გაბიანმა, დერჩის საზოგადოების, სამღვდლოების წარმომადგენელმა და სხვ.

სამგლოვიარო დებეშები მიიღეს ქუთაისის, თფილისის და გორის თავდა-აზნაურობათაგან, ეგზერხოსი პირიერიანსაგან და მრავალი სხვ. კუბოს ამკობდა ოცამღე გვირგინი სხვადასხვა პირისაგან და საზოგადოებისაგან.

მღვდ. ლარსენის ციტირების.

ოცს აგვისტოს ქ. ქუთაისში გაჩდა ცვაზა მღვდელი ჯარეგნტი ცქიტიშვილი. მამა ჯარეგნტი, ჩვენი ძველი მღვდლების, ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო მას, როგორც ეველა ჩვენ საუკეთესო ძველ მღვდლებს, ძვალსა და რბაღში ქქონდა გამჟღარი ქრისტეს მოძღვრება, იყო სდამართა წერაღის ზედმიწევნით მტოდნე და მშენებარი მწიგნობარი ქართულს ენაზე. მისი სასოებაა წარვა-ფრცვა ურწმუნოსაც კი აუტოკება გულს. იშვიათი შემთხვევა იყო მის ცხოვრებაში—წირვა—ფრცვა ისე გაუთავებია. რომ ხელსახთვის შე-

საფერი სუფიერი საზრდო არ შეეცა. ბუხებით იყო ფიცნი კაცი, მაგრამ უზომო გულკეთილი, აღამიანის მოყვარული და პატივისმცემელი. თავის სამწესიან გან მოითხოვდა ქრისტიანულ სიყვარულს ურთიერთობის და ქართველურ ზურადღას. ძუნწათა თავისიც ეზარებოდა და სხვისიც, ამ სოფელად ბევრი დაფიდაბის გადამტანი იყო. უკანასკნელ ყამს, ძვირფასი შეუდღის და ორი მოსწრებული შეიღის დაკარგვამ ამასთანავე თავის საყუთარი ბედის უკუღმა დატრიალებამ, სსოწარვეთილებში ჩააგდო თავის ხანგრძლივი სამსახურისთვის, სასუფიერო მთავრობისაგან შესაფრთ იყო დაჯილდოებული. იშვიათი არის ასეთი მღვდელი ჩვენში.

მ. ფარცხნაძე.

პროვინციის მხოვრება (ურჩილ-განთებდა).

წადვერი. განზრახულია წადვერში ააგონ სახლი ქართველ მწერალთათვის. ეს აზრი ჯ. რ. ისევ შარშან დაებდათ ი. ეველოვილისა და მ. მურვანიშვილს, რომელთაც უნდოდა თავისი საშუალებით ააგო სახლი. წელს ამ აზრს ბევრი თანაგრძნობი აღმოუჩნდა და პრაქტიკული ნაბიჯით გადასდგეს ამ საქმეში. 17 აგვისტოს მოხდა კერძო თათბირი, რომელსაც დაესწრო წ. კ. საზ. მთავარ გამგებობის წევრი ნინო ნაკაშიძე. კრებამ შეიმუშავა ვრცელი მოხსენება და გადასცა ნინო ნაკაშიძეს გამგებობაში წარსადგენათ. სახლის აგების საქითხი საბოლოოთ გადასწყდა, საქირთა მხოლოდ მიწის შეძენის ან იჯარით აღებნის საქითხის მოწესრიგება, რომელიც უნდა იკისროს წ. კ. საზ. მთავარმა გამგებობამ.

მარტყოფი. (გარეთ კახეთი). 8 თვის შემდეგ მომხმარებელი საზოგადოების სარევიზიო კომისია ძლივს შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. საქირთა, კომისიამ რევიზიის დროს გარეშე პირებიც დაინმაროს, რომ სისწორით გამოირკვეს მიაღიის დეფექტები. წვერთა რიცხვი საკმაოთ გაიზარდა სულ ითვლება 810 ამხანაგი. შარშანდელი წლის მოგებით საწარმოო თანხა ათას თუმანადი ექნება ამხანაგობას. განზრახულია დაარსონ მარტყოფში უმაღლესი პირველ დაწყებით სასწავლებელი, სახელოსნო განყოფილებით. სოფელმა სკოლის საჭიროებისათვის 10 დესეტინა მიწა აღუთქვა. ამგვარივე სკოლები გადაწყვეტილია გაიხსნას საგარეჯოსა და ხაშში.

დიდი-ჯიხაში ერთ კულტურულ სოფლათ ითვლება მთელ ქუთაისის გუბერნიაში. აქ არსებობს: ნორმალურ სასწავლებელი, ქსენონ აფთიაქი, სამკითხველო, ფოსტა და სხვა. ორი წელიწადი იქნება მას აქით, რაც ამ სოფელმა ითხოვა სამოქალაქო სასწავლებელი და რადგან ახლა სამოქალაქო სასწავლებლები გადაკეთებულ იქნენ უმაღლეს პირველ ხელ-ახალი თხოვნა დასქარდა! ამის გამო ამ საქმის ინიციატორებმა მოიწვიეს ქუთაისიდან სახალხო დირექ-

ტორი და ინსპექტორი და მოახდინეს ყრილობა. ამ ყრილობამ დაგვანახა თუ რამდენათ მომზადებულია ხალხი. ბ-ნმა დირექტორმა დაწვრილებით აუხსნა, თუ რა ხარჯს გამოიწვევს ამ სასწავლებლის დაარსება და ან რა მნიშვნელობა აქვს მას. ხალხი არაფითარ ხარჯს არ შეუშინდა და სთხოვა დირექტორს, რომ როგორმე წელს გახსნან ეს სასწავლებელი, და ყოველივე საჭირო ხარჯი თავს იღვა. რასაკვირველია, ასეთმა გადაწყვეტილებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა თვით დირექტორზე და საერთოდ ყველა გარეშე მსმენლებზე. დირექტორი დაპირდა ხალხს, რომ ის ეცდება დღესვე იქნას ხალხის მისწრაფება და სურვილი შესრულებული და თვით იღვა თავზე გუბერნატორთან შეამდგომლობა, დაჩქარებულ იქნას სასწავლებლის გახსნა.

ამ სასწავლებლის დაარსებამ ბევრი გამოიყვანა შეუხამო ხარჯებიდან, რადგან სხვა სოფელში და ქალაქებში ყავდათ გაგზავნილი ბავშვები და ძვირიც უჯდებოთ, ახლა კი, როდესაც ეს სასწავლებელი გაიხსნება, სუყველა ამ სასწავლებელში შეიყვანნ თავის შვილებს. სწავლის საფასურათ ჯერ 40 მანეთი შემოიღეს და როდესაც კი სასწავლებელი საბაზინოთ გადავა, მაშინ უფრო ცოტა იქნება სწავლის ფული. ამ სასწავლებელს სოფელმა მისცა ორ საოთხიანი ქვის შენობა 8 ოთახით და ერთი ქვევა მიწა, თუ კი მომადიბა დასქარდა შენობას ხალხმა ილიც თავის თავზე იღვა. ყოველ წლიურათ სოფელი აძლევს შენწყოებას სასწავლებლებს 1000 მანეთს. ამ საქმის ინიციატორებს გადაწყვეტილი აქვთ შემდეგში გაფართოვონ ეს სასწავლებელი და მოაწყონ აგრონომიული და პედაგოგიური კურსები, რაც, რასაკვირველია ძლიერ საჭიროა სოფლისაგვის. დირექტორის წინადადებით სასწავლებელი გახსნილი იქნა მისი იმპერატორის უმაღლესობის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის სახელზე.

ს. ლ-ძე.

ღია ბარათი
ნიკოლოზ გელოვანის ქალიშვილის ნიკოლოზის (ლენინის მამარის ოფ. ლასურიაში მცხოვრებს).

ბ. ნიკოლოზ!
მიმდინარე ზაფხულს თქვენ მიგვიწვიეთ თქვენს ოჯახში სოფელ ლასურიაში თქვენი ბავშვის რეპეტორებათ. ჩვენ შრომის ფასზეც მოვალეშარაკეთ და გავრიგდით. ჩვენ კეთილსინდისიერათ შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა: დაუზოგავათ ვსარჯავდით ძაღას, შთელი ზაფხულის განმავლობაში უოველ დღე; გარდა კვირის დღეებისა, 7-8 საათი გულ მოდგანეთ ვამცადინობდით თქვენ ბავშვთან და როგორ ვიფიქრებდით, რომ უარს გვეტოვდით ჩვენი შრომის სასყიდლის მოცემასზე. ჩვენ პირადათ განდღით თქვენთან, პატივცემული გარეშე პირებიც მოგიგზავნეთ და გთხოვდით-ჩვენი ნაშრომ-ნათფლარი არ მიგუთავისებოთ, მაგრამ თქვენზე არაფერმას არ გავტრა. ესეა ერთი და კულტურული საშუალება დაკვრჩენია. სა-მედატარო საშრომთა და გაძღვეთ წინადადებას გამოგვეუეთ. თქვენი მხრე აირჩიეთ ორი კაცი, ჩვენ ავირჩიეთ ორს. ესენი კი თავმჯდომარეთ მესუეთეს აირჩივენ. მედატარებების ვინაობას და ადგილს, თუ სად უნდა გაიჩნეს საქმე, გერძოთ განცხობებთ. გაძღვეთ მასუხისათვის სამი დღის ვადას დღადან ამ წერილის გამოქვეყნებისა. მასუხი განუთის საშუალებით უნდა გვაცნობოთ. თუ ამ ვადის განმავლობაში თქვენგან თანხმობა ვერ მივიდეთ, ნებას მივცემთ ჩვენ თავს პრესის საშუალებით დაწვრილებით გავცნოთ თქვენი პირფენება და საქციელი ქართველ საზოგადოებას, რომელიც შესაფერ მსჯავრს დაგსდებთ.

სტ. ილია ნუგუბიძე და ვანო ბახტაძე.

ნ სექტემბერი.

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.

ქალთა ოთხკლასიანი პროვინციული უფლებავ მოკრძაული
მ. ზ. კვინიხიძის
(თფილისის ქუჩა, სახლი ფრ. წერეთლისა),
აღსაღებს, რომ მისაღება ბაგოცდები ყველა კლასში დაიწყება 18 აგვისტოდან, სწავლას კი 1 სექტ. პროვინციულს აქვს აბრეთვე საან-ბანო განყოფილება, სადაც მიიღებთან სრულიად მოსოზადებელი ბავშვები.

გამოვიდა და იყიდება მთავრი შვილის წიგნის მალაზიაში ქართული წიგნი:
„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური კოფია“, შედგენილი ს. რ. გორბაძის მიერ. ფასი 6 აბაზი.

დაიბეჭდა ა. გარსევანიშვილის წიგნაკი ბაია—მათე მახალათ წოდებულნი. იხილება ყველა წიგნის მაღაზიაში.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
— მიღებულია დიდგალი —

საპნის გასაქმებელი „სოღა“
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფესები ვეულახედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.